ხელშეკრულება №SP-10-2024
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **„ 18" იანვარი 2024 წ.**

ერთის მხრივ, **შპს "საქართველოს ტელერადიოცენტრი"** (შემდგომში – "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი დეკანოსიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ავტო გალერი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნოდარ ჭირაქაძის** სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ს[1]"- ქვეპუნქტის შესაბამისად მონეტარული ზღვრების დაცვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

"მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

"დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჯალამბარის (CPV 42141410 - ჯალამბარი) შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2 შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, შესაბამისი მახასიათებლები, რაოდენობა და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **4880.00 (ოთხიათას რვაასოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.** აღნიშნულ თანხაში შესულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები, რომელთა გადახდაც ეკისრება მიმწოდებელს, მათ შორის დღგ.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების დაფინანსების წყაროა შემსყიდველის 2024 წლის სახსრები _ საკუთარი შემოსავლები.

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო/წუნდებული საქონლის მიღებაზე.
4.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.
4.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე
4.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
4.6. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
4.7. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან ამ ხელშერულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება.
4.8. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს მეორე მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან მათი არაჯეროვნად, არაკეთილსინდისიერად ან/და არადროულად შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 129.**
5.2. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომლის საფუძველია სასაქონლო ზედნადები.
5.3. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის განმავლობაში.
5.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასა და ხელმოწერაზე შემსყიდველის მხრიდან პასუხისმგებელი პირია: ნ. თამარაშვილი ან/და დირექტორის სპეციალური ბრძანებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფი შემდეგ თანამშრომელთა შემადგენლობით: ნ. თამარაშვილი.

7. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

7.1 მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა შეადგენს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან - **12 (თორმეტი) თვეს.**
7.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული შესყიდვის ობიექტს არ გააჩნია რაიმე ნაკლი ან დეფექტი და იქნება ვარგისი გამოყენებისათვის მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში. მიწოდების მომენტში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ დაუყონებლივ, ბრალეული გაჭიანურების გარეშე, საკუთარი სახსრებითა და რესურსებით უზრუნველყოს საქონლის შეცვლა.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
8.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან, ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებლმა უნდა წარმოადგინოს ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია და საგადასახადო ანგარიშფაქტურა. ამ პუნქტით

გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს არ მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან.
8.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტერს და მისი შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შემსყიდველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს გაზრდილი ფასით საქონლის მიღებაზე და შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება. ამასთან, უზრუნველყოს ფასის ცვლილებამდე მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.
10.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელეს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლების გადაცემა

11.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობანი.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ‘ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინებების გამგზავნი მხარე

არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევისთვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0,02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
13.2. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას საქონლის მიწოდების ვადის დარღვევისთვის, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის..
13.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
13.4 საჯარიმო სანქციების გადახდა მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან არ ათავისუფლებს.
13.5. თუ, ხელშეკრულების რომელიმე მხარეზე დაკისრებული პირგასამტეხლო გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების ღირებულების სრული ოდენობით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 20 დღით ადრე.
14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი სრულად ან მისი ნაწილი;
გ) თუ აღმოჩნდება, რომ მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ხარისხი მიუღებელია და აშკარად ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მოცემულ გარანტიას.
დ) ამ ხელშეკრულების 9.1. ან/და 13.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხის დავის გადაწყვეტის შესახებ გადაეცემა სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2024 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით (გარდა ამ ხელშეკრულების მე- 7 და მე-13 მუხლებისა).

16.2 ხელშეკრულების მე-7 და მე-13 მუხლები ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო ვადის სრული პერიოდის განმავლობაში.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ ს/კ: 203829250; მის: ქ. თბილისი მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო ტელ: 2506330. სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22 ანგ#GE78BG0000000181761401; **დირექტორი** **გიორგი დეკანოსიძე** TV-Radio Center of Georgia LLC Digitally signed by TV-Radio Center of Georgia LLC Date: 2024.01.18 13:22:32 +04'00'	**შპს „ავტო გალერი“** ს/კ: 405232957 მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 129 ტელ: 593 - 534421 Mail: d.oragvelidze@autogallery.ge სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE23 TB77 5593 6080 1000 06 **დირექტორი** **ნოდარ ჭირაქაძე**

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური აღწერილობა	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ჯალამბარი	12 ვ, 13000 LB, 10მმX26მ, SC13000XW-1	ცალი	4	1220.00	4880.00
					სულ:	**4880.00**

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრი“ ს/კ: 203829250; მის: ქ. თბილისი მთაწმინდა, ფუნიკულიორის ზედა პლატო ტელ: 2506330. სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: BAGAGE22 ანგ#GE78BG0000000181761401; **დირექტორი** **გიორგი დეკანოსიძე** TV-Radio Center of Georgia LLC Digitally signed by TV-Radio Center of Georgia LLC Date: 2024.01.18 13:23:05 +04'00'	**შპს „ავტო გალერი“** ს/კ: 405232957 მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 129 ტელ: 593 - 534421 Mail: d.oragvelidze@autogallery.ge სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE23 TB77 5593 6080 1000 06 **დირექტორი** **ნოდარ ჭირაქაძე** Nodar Chirakadze Digitally signed by Nodar Chirakadze DN: cn=Nodar Chirakadze, serialNumber=PNOGE-01024038742, givenName=Nodar, sn=Chirakadze, o=Citizen, c=GE Date: 2024.01.18 14:45:05 +04'00'